ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №98938

ნომერი: AR131971

თარიღი : 21.03.2012

გაცემის თარიღი : 28.03.2012

გაცნობის თარიღი : 28.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩა , N 46- 46ა , (ნაკვეთი N39/78) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ალიბეგაშვილი პ/ნ 01019005647
- დეპოს ქუჩა 19

ორგანიზაცია:
- შპს მ.მ. ჯგუფი კოდი: 400016353

ნომენკლატურა :
- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, მიუღებელია ფანჯრის ღიობების ათვისება, სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება, შესაძლებელია მოეწყოს მანათობელი ძირითადი მანიშნებელი აბრა, შესაბამისად ახალი ფოტომონტაჟი ატვირთეთ "ფოტომონტაჟი"-ს ველში, სადაც გათვალისწინებული იქნება სამსახურის რეკომენდაციები და ასევე მითითებული იქნება ყველა გაბარიტული ზომები.

ასევე გაცნობებთ:

ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერიდან ფირმის დირექტორად დაფიქსირებულია მამუკა ალიბეგაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ თქვენ მიხეილ ალიბეგაშვილ, საჭიროა წარმოადგინოთ მისი მინდობილობა, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში ან შესაძლებელია აღნიშნული პიროვნება დაემატოს თანაგანმცხადებლის ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.